ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/291223/19

ქ. თბილისი **29 დეკემბერი, 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** (შემდგომში „შემსყიდველი“) სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16, ს/კ №204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „მეგატესტი“** (შემდგომში მიმწოდებელი) დირექტორის რამაზ სურმანიძის სახით, იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა #57ა, ტელ: 591 95 80 80; ს/კ: 445657450, სს „საქართველოს ბანკი“, კოდი №BAGAGE22, ა/ნ GE07BG0000000538295006

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი **ცხოველური წარმოშობის სურსათში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევის მომსახურების (დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე) (CPV71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები)** შესყიდვაზე (სატენდერო განცხადების **№SPA230002303)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **416 600.00 (ოთხას თექვსმეტი ათას ექვსასი ლარი და 00 თეთრი) ლარად** (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1.1 შესყიდვის ობიექტია ცხოველური წარმოშობის სურსათში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევა, რომელიც უნდა განხორციელდეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმწოდებლის ლაბორატორიაში, მისამართზე ქ. ბათუმი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N57ა;

3.1.2. ლაბორატორიული კვლევისათვის წარდგენილი ნიმუშების ტესტირება (გამოცდა) უნდა ჩატარდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

3.1.3. ასევე შესაძლებელია კვლევები ჩატარდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3.1.4. თუ ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში შეიცვლება მოცემულ პროდუქციაზე ტექნიკური რეგლამენტი, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიც;

3.1.5. ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს ნიმუშის მაჩვენებლების გამოცდა ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებულ ვადებში და ფასებში.

3.1.6. ლაბორატორიული გამოცდის მიზნით აღებული ნიმუში ლაბორატორიას გადაეცემა შემსყიდველის უფლებამოსილი თანამშრომელის მიერ მიმართვით., რომელშიც დეტალურიად იქნება მითითებული კვლევის კონკრეტული მაჩვენებლები (ერთი და/ან რამოდენიმე). შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს მხოლოდ მიმართვაში ასახული და ჩატარებული კვლევის ღირებულებას. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომლის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით ან ფაქსით) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ, ხოლო გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობით, კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს. ანგარიშსწორების მიზნებისათვის, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა ინვოისთან ერთად წარადგინოს შემსყიდველთან ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

3.1.7 ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს აკრედიტაციის პასპორტის შესაბამისი ფორმის მიხედვით ჩატარებული ტექნიკური ოპერაციის, თითოეული გამოცდა-ანალიზის, საანალიზო ნიმუშების გამოცდის ოქმების, გრაფიკების,

გაზომვების, ცხრილების, ნახაზების, მიღებული პასუხების, ინსტრუმენტალური კვლევის შედეგების, შენახვა და დაცვა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ და წარმოადგინონ ისინი მოთხოვნის შემთხვევაში.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დანართი №1-ის შესაბამისად.

4.2 თითოეული კვლევის შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს დანართი N1-ში მოცემულ ვადებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების და ამ მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დეტალურად გაწერილი ცხრილის (ჩატარებული კვლევების შესახებ) შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და მომსახურების სრულყოფილი შესრულება, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

5.5 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღებაჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხითა და სტანდარტების მომსახურება;

7.4.2. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომელის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით **(**E.Sakvarelidze@rs.ge; N.Chikashua@rs.ge**;** 599042030; 599042737**)** ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ;

7.4.3. გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობით და ელექტრონული ფოსტით **(**E.Sakvarelidze@rs.ge; N.Chikashua@rs.ge 599042030; 599042737**),** კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს.

7.4.4. დადებითი პასუხის შემთხვევაში ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილი თანამშრომლის, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის მთავარი ვეტერინარების (ელენე საყვარელიძე, ხათუნა გოგოლაძე E.Sakvarelidze@rs.ge N.Chikashua@rs.ge 599042030; 599042737) დაუყოვნებელი ინფორმირება ტელეფონით და ელექტრონული ფოსტით ნიმუშის შედეგების შესახებ.

7.4.5 თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა საანგარიშსწორებო დოკუმენტთან ერთად უნდა წარადგინოს შემსყიდველთან ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

7.4.6. ამ მუხლის 7.4.3. და 7.4.5. პუნქტებში გათვალისწინებული ვადები იანგარიშება (იწყება) მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებული გამოსაკვლევი მაჩვენებლის შესრულების ვადებით განსაზღვრული ბოლო საათის ამოწურვის დადგომის დღის დამთავრებიდან.

7.4.7 მიმწოდებელი ვალდებულია ნებისმიერი ცვლილება ქვეკონტრაქტორთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებით არანაკლებ ერთი თვით ადრე აცნობოს შემსყიდველს.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით
მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მხრიდან დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების 7.4.7 პუნქტით განსაზღვრული ვადა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში მიმწოდებელს შეუწყდა აკრედიტაცია, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადად, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ამასთანავე შემსყიდველი შეწყვეტს ხელშეკრულებას ცალმხრივად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა
15.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია უპირობო და გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია **# PE1065923-23** გაცემული **სს „საქართველოს ბანკი“-ს** მიერ **20 830.00 (ოცი ათას რვაას ოცდაათი ლარი და 00 თეთრი)** ლარის უზრუნველსაყოფად.
15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.
15.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია მინიმუმ 30 კალენდარული დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
15.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.
15.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ „შემოსავლების სამსახური”	შპს ,,მეგატესტი“
_____	_____
მიხეილ ახვლედიანი	**რამაზ სურმანიძე**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.12.29 17:36:12 +04'00'	Ramaz Surmanidze Digitally signed by Ramaz Surmanidze Date: 2023.12.29 16:09:42 +04'00'

დანართი N1 - ფასების ცხრილი(დაზუსტებული)					
კომპანიის დასახელება: შპს მეგატესტი კომპანიის ს/კ: 445657450 კომპანიის დირექტორის სახელი და გვარი: რამაზ სურმანიძე					
№	გამოსაკვლევი მაჩვენებლის დასახელება	გამოსაკვლევი ნიმუშების რაოდენობა	ერთი კვლევის ფასი	მთლიანი ფასი	შესრულების ვადები
	ცხოველური წარმოშობის სურსათში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევა (დასავლეთ საქართველო)				
1	მაფანმრ	5	10	50	72სთ
2	ნჩჯბ	5	9	45	72სთ
3	სალმონელა	5000	78,6	393000	72სთ-120სთ
4	salmonella enteritidis	30	30	900	72სთ-120სთ
5	salmonella typhimurium	30	30	900	72სთ-120სთ
6	e.coli	5	15	75	72სთ
7	Listeria monocytoganes	150	87,5	13125	72სთ-120სთ
8	ჰისტამინები	63	135	8505	72სთ-120სთ
ჯამი				416600	

დირექტორი

რამაზ სურმანიძე

Ramaz Surmanidze

Digitally signed by Ramaz Surmanidze
Date: 2023.12.29 16:10:20 +04'00'